საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება
№ 296 2010 წლის 10 მაისი ქ. თბილისი

სასჯელაღსრულების ორგანოების სისტემის მოსამსახურეთა სამსახურებრივი ფორმის ატრიბუტიკის დამტკიცების შესახებ

1. „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს სასჯელაღსრულების ორგანოების სისტემის მოსამსახურეთა სამსახურებრივი ფორმის ატრიბუტიკა დანართის შესაბამისად.

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სასჯელაღსრულების დაწესებულების მოსამსახურეთა სამსახურებრივი ფორმის ატრიბუტიკის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 8 დეკემბრის №652 ბრძანებულება.

3. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მიხეილ სააკაშვილი

დამტკიცებულია
საქართველოს პრეზიდენტის
2010 წლის 10 მაისის
№ 296 ბრძანებულებით

სასჯელაღსრულების ორგანოების სისტემის მოსამსახურეთა სამსახურებრივი ფორმის ატრიბუტიკა

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სასჯელაღსრულების დეპარტამენტის (შემდეგში - სასჯელაღსრულების დეპარტამენტი) ემბლემა წარმოადგენს მწვანე ფერის მრგვალ ფარს, რომლის ველზეც გამოსახულია ოქროსფერკანტიანი სიმბოლური ფარი. ფარის მწვანე ველზე გამოსახულია სტილიზებული ოქროს ლომი (პროფილში). ლომს წინა თათებით ვერცხლის გაშლილი გრაგნილი უპყრია, რომელზეც გადაშლილი მწვანე წიგნია გამოსახული. წიგნის თითოეულ გვერდზე თითო გასაღებია მოთავსებული. მარცხენა გასაღების გამღები ნაწილი ზემოთ არის მიმართული, მარჯვენისა კი - ქვემოთ. წიგნის ქვემოთ (ვერცხლის გრაგნილზე) სასწორის პინები ისეა გამოსახული, რომ სასწორის ფუნქციას სიმბოლურად წიგნის ქვედა მხარე ასრულებს.

ფარს ორი ოქროს ქობა შემოყვება. კიდეზე შემოყოლებული ქობა სისქით ორჯერ აღემატება უფრო სიღრმეში შემოყოლებულ ქობას. ორ ქობას შორის მწვანე ველზე გამოსახულია ოქროსფერი წარწერა: „საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო", ,,სასჯელაღსრულების დეპარტამენტი".

პლანშეტი №1

1. ყოველდღიური ფორმა - შავი ფერის შარვალი, შავი ფერის პიჯაკი (ფრენჩი), შავი წინაფრიანი ქუდი, რუხი (წყლისფერი) პერანგი, შავი ჰალსტუხი; გენერლის წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა.

2. გამოსასვლელი ფორმა – მუქი რუხი ფერის შარვალი, მუქი რუხი ფერის პიჯაკი (ფრენჩი), შავი წინაფრიანი ქუდი, რუხი (წყლისფერი) პერანგი, შავი ჰალსტუხი; გენერლის წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა.

პლანშეტი №2

1. ზამთრის ყოველდღიური ფორმა - შავი ფერის შარვალი, შავი ფერის მოკლე პალტო, შავი წინაფრიანი ქუდი, რუხი (წყლისფერი) პერანგი, შავი ჰალსტუხი; გენერლის წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა.

2. ზამთრის გამოსასვლელი ფორმა – მუქი რუხი ფერის შარვალი, მუქი რუხი ფერის მოკლე პალტო, შავი წინაფრიანი ქუდი, რუხი (წყლისფერი) პერანგი, შავი ჰალსტუხი; გენერლის წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა.

პლანშეტი №3

1. ყოველდღიური ფორმა - შავი ფერის შარვალი, შავი წინაფრიანი ქუდი, რუხი (წყლისფერი) გრძელმკლავიანი პერანგი (მოკლემკლავიანი პერანგი გახსნილი საყელოთი), შავი ჰალსტუხი; გენერლის წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა.

2. გამოსასვლელი ფორმა – მუქი რუხი ფერის შარვალი, შავი წინაფრიანი ქუდი, რუხი (წყლისფერი) გრძელმკლავიანი პერანგი (მოკლემკლავიანი პერანგი გახსნილი საყელოთი), შავი ჰალსტუხი; გენერლის წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა.

პლანშეტი №4

ყოველდღიური ფორმა - შავი ფერის შარვალი, შავი კეპი, რუხი (წყლისფერი) გრძელმკლავიანი პერანგი (მოკლემკლავიანი პერანგი გახსნილი საყელოთი), შავი ჰალსტუხი; ოფიცრის წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა.

პლანშეტი №5

1. ზამთრის ყოველდღიური ფორმა - შავი ფერის შარვალი, შავი ფერის პიჯაკი (ფრენჩი), შავი კეპი, რუხი (წყლისფერი) პერანგი, შავი ჰალსტუხი; ოფიცრის წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა.

2. ზამთრის ყოველდღიური ფორმა - შავი ფერის შარვალი, შავი ფერის მოკლე პალტო, შავი კეპი, რუხი (წყლისფერი) პერანგი, შავი ჰალსტუხი; ოფიცრის წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა.

პლანშეტი №6

1. ყოველდღიური ფორმა - შავი ფერის შარვალი, შავი ფერის მოკლე ქურთუკი, შავი კეპი, რუხი (წყლისფერი) პერანგი, შავი ჰალსტუხი; ოფიცრის წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა.

2. ყოველდღიური ფორმა - შავი ფერის შარვალი, შავი ფერის უმკლავო სვიტერი, შავი კეპი, რუხი (წყლისფერი) პერანგი, შავი ჰალსტუხი; ოფიცრის წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა.

პლანშეტი №7

გამოსასვლელი ფორმა – მუქი რუხი ფერის შარვალი, შავი წინაფრიანი ქუდი, რუხი (წყლისფერი) გრძელმკლავიანი პერანგი (მოკლემკლავიანი პერანგი გახსნილი საყელოთი), შავი ჰალსტუხი; ოფიცრის წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა.

პლანშეტი №8

1. ზამთრის გამოსასვლელი ფორმა – მუქი რუხი ფერის შარვალი, მუქი რუხი ფერის მოკლე პალტო, შავი წინაფრიანი ქუდი, რუხი (წყლისფერი) პერანგი, შავი ჰალსტუხი; ოფიცრის წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა.

2. გამოსასვლელი ფორმა – მუქი რუხი ფერის შარვალი, მუქი რუხი ფერის პიჯაკი (ფრენჩი), შავი წინაფრიანი ქუდი, რუხი (წყლისფერი) პერანგი, შავი ჰალსტუხი; ოფიცრის წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა.

პლანშეტი №9

1. ყოველდღიური ფორმა - შავი ფერის ქვედა კაბა, შავი ფერის მოკლე ქურთუკი, შავი კეპი, რუხი (წყლისფერი) პერანგი, შავი ჰალსტუხი; ოფიცრის წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა.

2. ყოველდღიური ფორმა - შავი ფერის ქვედა კაბა, შავი კეპი, მოკლემკლავიანი რუხი (წყლისფერი) პერანგი გახსნილი საყელოთი; ოფიცრის წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა.

პლანშეტი №10

1. ზამთრის ყოველდღიური ფორმა - შავი ფერის პალტო, რუხი (წყლისფერი) პერანგი, შავი ჰალსტუხი; ოფიცრის წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა.

2. ყოველდღიური ფორმა - შავი ფერის შარვალი, შავი ფერის პიჯაკი (ფრენჩი), შავი კეპი, რუხი (წყლისფერი) პერანგი, შავი ჰალსტუხი; ოფიცრის წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა.

პლანშეტი №11

1. ყოველდღიური ფორმა - შავი ფერის ქვედა კაბა, შავი კეპი, რუხი (წყლისფერი) პერანგი, შავი ჰალსტუხი; ოფიცრის წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა.

2. ყოველდღიური ფორმა - შავი ფერის ქვედა კაბა, შავი კეპი, შავი ფერის უმკლავო სვიტერი, რუხი (წყლისფერი) პერანგი, შავი ჰალსტუხი; ოფიცრის წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა.

პლანშეტი №12

1. ზამთრის გამოსასვლელი ფორმა - მუქი რუხი ფერის შარვალი, მუქი რუხი ფერის პიჯაკი (ფრენჩი), შავი წინაფრიანი ქუდი, რუხი (წყლისფერი) პერანგი, შავი ჰალსტუხი; ოფიცრის წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა.

2. გამოსასვლელი ფორმა - მუქი რუხი ფერის შარვალი, შავი წინაფრიანი ქუდი, რუხი (წყლისფერი) პერანგი; ოფიცრის წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა.

პლანშეტი №13

1. ზამთრის გამოსასვლელი ფორმა – მუქი რუხი ფერის პალტო, რუხი (წყლისფერი) პერანგი, შავი ჰალსტუხი; ოფიცრის წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა.

2. გამოსასვლელი ფორმა - მუქი რუხი ფერის ქვედა კაბა, შავი წინაფრიანი ქუდი, რუხი (წყლისფერი) პერანგი, შავი ჰალსტუხი; ოფიცრის წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა.

პლანშეტი №14

ყოველდღიური გამოსასვლელი ფორმა - შავი ფერის შარვალი, შავი კეპი, რუხი (წყლისფერი) პერანგი (მოკლემკლავიანი პერანგი გახსნილი საყელოთი) შავი ჰალსტუხი; რიგითის წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა.

პლანშეტი №15

1. ყოველდღიური გამოსასვლელი ფორმა - შავი ფერის შარვალი, შავი ფერის მოკლე ქურთუკი (ქურთუკის უკანა მხარეს ოქროსფერი წარწერა: ,,სად”), შავი კეპი, რუხი (წყლისფერი) პერანგი, შავი ჰალსტუხი; რიგითის წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა.

2. ყოველდღიური გამოსასვლელი ფორმა - შავი ფერის შარვალი, შავი ფერის უმკლავო სვიტერი, შავი კეპი, რუხი (წყლისფერი) პერანგი, შავი ჰალსტუხი; რიგითის წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა.

პლანშეტი №16

1. ყოველდღიური გამოსასვლელი ფორმა - შავი ფერის ქვედა კაბა, შავი ფერის მოკლე ქურთუკი (ქურთუკის უკანა მხარეს ოქროსფერი წარწერა: ,,სად”), შავი კეპი, რუხი (წყლისფერი) პერანგი, შავი ჰალსტუხი; რიგითის წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა.

2. ყოველდღიური გამოსასვლელი ფორმა - შავი ფერის შარვალი, შავი კეპი, მოკლემკლავიანი რუხი (წყლისფერი) პერანგი გახსნილი საყელოთი; რიგითის წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა.

პლანშეტი №17

1. ყოველდღიური გამოსასვლელი ფორმა – შავი ქვედა კაბა, შავი კეპი, რუხი (წყლისფერი) პერანგი, შავი ჰალსტუხი; რიგითის წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა.

2. ყოველდღიური გამოსასვლელი ფორმა - შავი ქვედა კაბა, შავი კეპი, რუხი (წყლისფერი) პერანგი, შავი ფერის უმკლავო სვიტერი, შავი ჰალსტუხი; რიგითის წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა.

3. ყოველდღიური გამოსასვლელი ფორმა - შავი ფერის შარვალი, შავი ფერის პიჯაკი (ფრენჩი), შავი კეპი, რუხი (წყლისფერი) პერანგი, შავი ჰალსტუხი; რიგითის წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა.

ყოველდღიური გამოსასვლელი ფორმა

საზურგე წარწერა: ”სად”

პლანშეტი №18

1. საველე ფორმა – შავი კეპი, შავი ქურთუკი, შავი შარვალი, შავი მაისური; წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა.

2. საველე ფორმა – დამცავი ფერის (კომუფლირებული) კეპი, დამცავი ფერის (კომუფლირებული) ქურთუკი, დამცავი ფერის (კომუფლირებული) შარვალი, მუქი მწვანე ფერის მაისური; წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა.

საველე ფორმა

პლანშეტი №19

1. საველე ფორმა – შავი კეპი, შავი შარვალი, შავი მაისური; წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა.

2. საველე ფორმა – დამცავი ფერის (კომუფლირებული) კეპი, დამცავი ფერის (კომუფლირებული) შარვალი, დამცავი ფერის (კომუფლირებული) მაისური; წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა.

საველე ფორმა

პლანშეტი №20

1. გენერლის ქუდის ემბლემა (კოკარდა) – ვაზის წნულის ოქროსფერი ორნამენტი. ოქროსფერი ჰერალდიკური ფარის მწვანე ველზე გამოსახულია საბრძოლველად შემართული ოქროსფერი ლომი. კომპოზიციის ზედა ნაწილში მწვანე წარწერა: ,,სად”.

2. გენერლის ქუდის წინაფრის ორნამენტი.

3. ოფიცრის ქუდის ემბლემა (კოკარდა) – ვაზის წნულის მცირე ორნამენტი. ოქროსფერი ჰერალდიკური ფარის მწვანე ველზე გამოსახულია საბრძოლველად შემართული ოქროსფერი ლომი; მწვანე წარწერა: ,,სად”.

4. რიგითის ქუდის ემბლემა – მართკუთხა ყვითელკანტიან შავ ფონზე ოქროსფერი სტილიზებული წარწერა: ,,სად”.

პლანშეტი №21

1. სამკლავური ემბლემა – სტილიზებული ჰერალდიკური ფარი. მწვანე ველზე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ემბლემის დეტალი – საბრძოლველად შემართული ოქროსფერი ლომი.

2. გენერლის ღილკილო - შავი ფერის, ვაზის წნულის ოქროსფერი ორნამენტით.

3. ოფიცრის ღილკილო – შავი ფერის, ოქროსფერი წარწერა: ,,სად”.

4. ქამრის ბალთა - ოქროსფერი წარწერით: ,,სად”.

5. ჰალსტუხის სამაგრი.

6. ღილები - ოქროსფერი, წარწერით: ,,სად”.

7. ავტომანქანის ემბლემა - მწვანე ფერის წარწერა: ,,სად”.

პლანშეტი №22

1. იუსტიციის გენერალ-ლეიტენანტის სამხრე - შავი ფერის სამხრე (მანჟეტი) ოქროსფერი კანტებით, სტილიზებული ორნამენტით, ორი ვარსკვლავით.

2. იუსტიციის გენერალ-მაიორის სამხრე – შავი ფერის სამხრე (მანჟეტი) ოქროსფერი კანტებით, სტილიზებული ორნამენტით, ერთი ვარსკვლავით.

3. იუსტიციის პოლკოვნიკის სამხრე - შავი ფერის სამხრე (მანჟეტი) ოქროსფერი სტილიზებული ორნამენტით, სამი ვარსკვლავით (მცირე).

4. იუსტიციის ვიცე-პოლკოვნიკის სამხრე – შავი ფერის სამხრე (მანჟეტი) ოქროსფერი სტილიზებული ორნამენტით, ორი ვარსკვლავით (მცირე).

5. იუსტიციის მაიორის სამხრე – შავი ფერის სამხრე (მანჟეტი) ოქროსფერი სტილიზებული ორნამენტით, ერთი დიდი ვარსკვლავით.

6. იუსტიციის კაპიტნის სამხრე - შავი ფერის სამხრე (მანჟეტი) ოქროსფერი ოთხი ვარსკვლავით (მცირე).

7. იუსტიციის უფროსი ლეიტენანტის სამხრე - შავი ფერის სამხრე (მანჟეტი) ოქროსფერი სამი ვარსკვლავით (მცირე).

8. იუსტიციის ლეიტენანტის სამხრე - შავი ფერის სამხრე (მანჟეტი) ოქროსფერი ორი ვარსკვლავით (მცირე).

9. იუსტიციის უმცროსი ლეიტენანტის სამხრე - შავი ფერის სამხრე (მანჟეტი) ოქროსფერი ერთი ვარსკვლავით (მცირე).

10. იუსტიციის ზემდეგის სამხრე - შავი ფერის სამხრე (მანჟეტი) ერთი ოქროსფერი ფართო ზოლით.

11. იუსტიციის უფროსი სერჟანტის სამხრე - შავი ფერის სამხრე (მანჟეტი) სამი ოქროსფერი ზოლით (მცირე).

12. იუსტიციის სერჟანტის სამხრე - შავი ფერის სამხრე (მანჟეტი) ორი ოქროსფერი ზოლით (მცირე).

13. იუსტიციის უმცროსი სერჟანტის სამხრე - შავი ფერის სამხრე (მანჟეტი) ერთი ოქროსფერი ზოლით (მცირე).

14. იუსტიციის რიგითის სამხრე - შავი ფერის სამხრე (მანჟეტი).